ოქმი:**ო63. 6323333001**
თარიღი:**29/11/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომის

ო ქ მ ი N6

ქ.სამტრედია 24 ნოემბერი. 2023 წელი.

მიმდინარე წლის 24 ნოემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის თავმჯდომარეობით, ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ტარიელ დვალიშვილი , ნუგზარ ჯამბურია, ვალერიანე ფოცხვერია,ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, ლიზა კრავეიშვილი, ირაკლი მელაშვილი,ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ტარიელ ცომაია,ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე , გიორგი ლეჟავა, ჯონი თევზაძე, გიორგი გაგუა.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ტარიელ დვალიშვილი/

2. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარის წინადადებით, ფრაქციის წევრებმა (17 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრთა (17 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ დვალიშვილმა ფრაქციის წევრებს განსახილველად გააცნო სამტრედიის

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ტარიელ დვალიშვილი - მოგახსენებთ, რომ ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს განსახილველად დაეწერა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ფრაქციამ აღნიშნული პროექტი შეისწავლა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეთანხმება მერიის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს.

ფრაქციის წევრებმა თავისი წინადადებები წარმოადგინეს, რომელიც სასურველია გათვალისწინებული იყოს 2024 წლის ბიუჯეტში.

შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელ შენიშვნებს და წინადადებებს. კერძოდ,

1. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საბიბლიოთეკო გაერთიანება“_ს 2024 წლის ბიუჯეტი გაიზარდოს 7,0 ათ.ლარით. აღნიშნული თანხა მიმართულ იქნას N5 საქალაქო ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოებისთვის.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას ღანირის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჭაგნის მიმართულებით არსებულ აუზებთან მისასვლელი გზის (0,5კმ) კეთილმოწყობა. (გზის ორივე მხარეს არხის გაყვანა, ბოგირის მოწყობა).

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისიწინებულ იქნას 13,0 ათასი ლარი, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციონირებისათვის.

4. სამტრედიის მე-3 საჯარო სკოლის, მიმდებარე ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება(შესაძლებლობის ფარგლებში 40მ).

ასევე, წარმოგიდგენთ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელ შენიშვნებს და წინადადებებს, რომლებიც განხილულ იქნა დარგობრივი კომისიების და ფრაქციის მიერ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადება:

ა) ,,სტუდენტებმა, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებში მიიღეს 100%-იანი დაფინანსება, ერთჯერადად გადაეცეთ ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით’’.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის, მიერ წარმოდგენილი წინადადებები:

ა) სოციალური პროგრამის 2024 წლის ბიუჯეტში მე-11 მუხლის 1-ლ პუნქტში ,,ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას, სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება’’, გაიზარდოს 100 ლარით და ნაცვლად 200 ლარისა განისაზღვროს 300 ლარის ოდენობით.

ბ) სოციალური პროგრამის 2024 წლის ბიუჯეტში მე-16 მუხლის 1-ლ პუნქტში, ,,ერთჯერადი ფინანსური დახმარება მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობლების მქონე, მხედველობა და სმენადაქვეითებულ მოქალაქეებზე’’, განსაზღვრულია 200 ლარის ოდენობით. ნაცვლად 200 ლარისა, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობლების მქონე, მხედველობა და სმენადაქვეითებულ მოქალაქეებზე, დახმარება ყოველთვიურად განისაზღვროს 50 ლარის ოდენობით.

გ) ა. (ა). ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,, სახლი თანადგომა’’-ს რვა (8) საშტატო ერთეულს (6 უმწეოთა და დავრდომილთა ბინაზე პურით და სადილით

მომსახურე პერსონალი და 2 სოციალური მუშაკი) თანამდებობრივი სარგო გაეზარდოს 100 ლარის ოდენობით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრები (17 ხმით) მხარს უჭერს ზემოაღნიშნულს.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

ტარიელ დვალიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი